ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების დანართი N1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი N1
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 28 ივლისის N53 განკარგულებისა

**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრებისა
და საკრებულოს აპარატისთვის განსაზღვრული საწვავის ხარჯების ლიმიტი**

N	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლიტრი)		ლიმიტი წელიწადში (ლიტრი)	
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	-	750	-	9000
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		170		2040
3.	სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	80	-	960	-
4.	იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე	80	-	960	-
5.	საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე	80	-	960	-
6.	სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	80	-	960	-
7.	ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	-	80	-	960
8.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	80	-	960	-
9.	საკრებულოს აპარატის უფროსი	210	-	2520	-
10.	საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	20	-	240	-
11.	საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	-	20	-	240

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N29

2017 წლის 3 ივლისი

ქ. ხობი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N64 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებები:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნის სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით;

ბ) ქალაქ ხობის ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოებთან დაკავშირებით.

გ) პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულის საჩოკორაიოს უბანში ქუჩის კეთილმოწყობის (ცემენტო-ბეტონი) სამუშაოებთან დაკავშირებით;

დ) პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულის ქუჩის კეთილმოწყობის (ცემენტო-ბეტონი) სამუშაოებთან დაკავშირებით;

ე) ქალაქ ხობში კოსტავას ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით;

ვ) საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ გზაზე ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით;

ზ) საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით;

თ) შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი სისტემის ქსელის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით;

ი) ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;

კ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ საბაჟოში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციასთან (მოასფალტება) დაკავშირებით;

ლ) ხამისკურის ადმინისტრაციულ ერთეულში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციასთან (ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა) დაკავშირებით;

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N30
2017 წლის 12 ივლისი
ქ. ხობი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N64 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N64 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებები:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრის შექმნის სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით;

ბ) ქალაქ ხობის ქუჩების კეთილმოწყობის (მოასფალტების) სამუშაოებთან დაკავშირებით;

გ) პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეულის საჩოკორაიოს უბანში ქუჩის კეთილმოწყობის (ცემენტო-ბეტონი) სამუშაოებთან დაკავშირებით;

დ) პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის ქუჩის კეთილმოწყობის (ცემენტო-ბეტონი) სამუშაოებთან დაკავშირებით;

ე) ქალაქ ხობში კოსტავას ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით;

ვ) საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალურ გზაზე ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით;

ზ) საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით;

თ) შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი სისტემის ქსელის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით;

ი) ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.”.

კ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საბაჟომო სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციასთან (მოასფალტებასთან) დაკავშირებით;

ლ) ხამისკურის ადმინისტრაციული ერთეულის სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციასთან (ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობასთან) დაკავშირებით;

მ) ქალაქ ხობში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N31

2017 წლის 22 აგვისტო

ქ. ხოზი

**ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსი“ 108-ე მუხლის პირველი ნაწილისა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 18 აგვისტოს N5/42629 წერილის შესაბამისად:

1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება - ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდი 831 ლიტრი, შემდგომში სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის გადაცემის მიზნით.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ქარდავა

მამუკა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N32
2017 წლის 30 აგვისტო
ქ. ხობი**

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-6 და მე-8 ნაწილების, 58-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნების დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 22 აგვისტოს №22/08/01 განკარგულების, შესაბამისად:

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის შესაბამის საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცეთ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

- ა) ქ. ხობში - N2 ბაგა-ბაღის და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის შენობები;
- ბ) ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში - N2 საბავშვო ბაღის შენობა;
- გ) პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;
- დ) საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში - კულტურის სახლის შენობა;
- ე) საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ გაღმა საჯიჯაოს ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა;
- ვ) ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასოფლო კლუბის შენობა;
- ზ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - ბიბლიოთეკის შენობა;
- თ) ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასოფლო კლუბის შენობა;
- ი) პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში - საბავშვო ბაღის შენობა;
- კ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - საბავშვო ბაღის შენობა.

2. საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები:

- ა) ქ. ხობში - ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკა;
- ბ) ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ ზუზის კლუბის შენობა;
- გ) ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;
- დ) ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ე) თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ვ) ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში - ქვემო ქვალონის კულტურის სახლი;

ზ) შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

თ) ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ი) ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

კ) საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა;

ლ) ძველი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში - ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება N33
2017 წლის 29 სექტემბერი
ქ. ხობი

**ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის
გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „პ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული საინიციატივო ჯგუფის წინადადება ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ცენტრალური სტადიონისათვის საფეხბურთო კლუბ ხობის „კოლხეთის“ გამორჩეული ფეხბურთელის, პედაგოგისა და ინტელიგენტი ადამიანის გიორგი (გოგი) მამფორიას სახელის მინიჭების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (ქ. ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N34

2017 წლის 29 სექტემბერი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N67 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	პროგრამის დასახელება	პროგრამის ბიუჯეტი (ლარი)	პროგრამის მოქმედების ვადა	პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	პროგრამის ღირებულება თითოეულ სუბიექტზე (ლარი)
1.	უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვება და მომსახურება	64000	01.01.2017-31.12.2017	120	
2.	სადღესასწაულო დღეებში:	11550			
	მრავალშვილიანთა დახმარება	11250	01.01.2017 - 31.12.2017	80	150
	არასრულწლოვან ობოლთა დახმარება	---	-	-	-
	100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარება	300	01.01.2017-31.12.2017	5	150

3.	დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის	50000	01.01.2017 - 31.12.2017	350	პირველ და მეორე ბავშვზე - 100; მესამე-მეოთხე და მეხუთე ბავშვზე - 300, მეექვსე და ზევით ბავშვზე 600 ლარი
4.	სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე წყლის ხარჯის ანაზღაურება	9000	01.01.2017 - 31.12.2017	100 ოჯახი	1.77
5.	ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	30000	01.01.2017 - 31.12.2017		300-დან 3000-მდე
6.	ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის	55000	01.01.2017 - 31.12.2017		60-დან 200-მდე
7.	საოპერაციო და ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება პაციენტის მიერ გადასახდელი თანხიდან (500 ლარი და ზემოთ)	106000	01.01.2017 - 31.12.2017	90-100	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის 20-50% - არაუმეტეს 2000 ლარისა
8.	დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	18000	01.01.2017- 31.12.2017	15	100
9.	დევენილის დაკრძალვის ხარჯები	2000	01.01.2017 - 31.12.2017	10	200
10.	ომი ვეტერანის დაკრძალვის ხარჯები	1000	01.01.2017 - 31.12.2017	4	250
11.	დახმარება ჩერნობილში მონაწილეთათვის	1600	01.04.2017	16	100
12.	სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარება	38140	01.01.2017 - 31.12.2017	40	500-დან 4000-მდე
13.	სამამულო ომის ვეტერანების დახმარება (9 მაისი)	500	01.05.2017	4	250
14.	0-18 წლამდე ასაკის შეზღუდული	7000	01.01.2017- 01.12.2017	20-30	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით

	შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარება				100-500ლარამდე
15.	8 აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	1800	08.08.2017	9	200
16.	აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	3400	17.09.2017	17	200
17.	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად შშმპ-თა ერთჯერადი დახმარება	1400	26.05.2017	7	200
18.	უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში, ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი	700	01.01.2017 31.12.2017	5	50-დან 150-მდე
19.	„C“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსება პროგრამული მკურნალობის დასაწყებად	27500	01.01.2017 31.12.2017	80	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით, არა უმეტეს 70% და არა უმეტეს 350 ლარისა
20	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი დახმარება (სტატუს მინიჭებულთა)	1500	01.01.2017 31.12.2017	7	300
	ჯამი	430090			

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №35

2017 წლის 20 ნოემბერი

ქ. ხობი

დროებითი სამანდატო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-39 მუხლის შესაბამისად:

1. 2017 წლის 21 ოქტომბრის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებზე არჩეული, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომისთვის სამართლებრივი და ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას დროებითი სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. დოდო გაბუნია
3. გოჩა სიჭინავა

2. დაევალოს დროებით სამანდატო კომისიას უფლებამოსილების განხორციელება საკრებულოს მიერ შესაბამისი მუდმივი კომისიის არჩევამდე.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

სხდომის თავმჯდომარე

ვლადიმერ ქანთარია



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №36

2017 წლის 20 ნოემბერი

ქ. ხობი

**ხოზის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრთა
უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 25-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. ცნობილ იქნეს 2017 წლის 21 ოქტომბერს არჩეულ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება თანდართული სიის შესაბამისად:

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

სხდომის თავმჯდომარე

ვლადიმერ ქანთარია

2017 წლის 21 ოქტომბერს არჩეულ ხოზის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
წევრთა სია

1. ვარაზი გაბედავა
2. ედიშერი ჯობავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. მამუკა ქარდავა
6. მერაბი ფილიპია
7. დიტო ხასია
8. შადიმანი ჭილაია
9. ირაკლი ბერაია
10. მამუკა ჭოხონელიძე
11. როლანდი სერგია
12. ია ჯიშკარიანი
13. თემური გულუა
14. ირაკლი ნადარაია
15. კახა ლატარია
16. კონსტანტინე ნასარაია
17. ვლადიმერ ქანთარია
18. ნიკოლოზი ვეკუა
19. მერაბ ნადარაია
20. ფრიდონ შონია
21. გოჩა ჯობავა
22. თეა გელანტია
23. თენგიზ აბაკელია
24. მზია ლემონჯარია
25. გოჩა სიჭინავა
26. აკაკი ხურცილავა
27. კობა გოქაძე
28. იგორი გოგოლაძე
29. ავთანდილი ხუნჯუა
30. კახა მიქაბერიძე
31. ტარიელ ალექსანდრია
32. ბექა მამაცაშვილი
33. გია წულაია

34. გიგა ნასარაია
35. გენადი ქაძანაია
36. ლაშა ცატავა
37. აბელი ქირია



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №37

2017 წლის 20 ნოემბერი

ქ. ხობი

დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-40 მუხლის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას დროებითი ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. მერაბ ნადარაია
2. ფრიდონ შონია
3. მზია ლემონჯარია

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

სხდომის თავმჯდომარე

ვლადიმერ ქანთარია



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №38

2017 წლის 20 ნოემბერი

ქ. ხობი

ედიშერი ჯობავას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და 33-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილება, ფარული კენჭისყრის საფუძველზე, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ ედიშერი ჯობავას არჩევის შესახებ.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

სხდომის თავმჯდომარე

ვლადიმერ ქანთარია



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №39

2017 წლის 20 ნოემბერი

ქ. ხობი

მამუკა ქარდავას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის პუნქტის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილება ფარული კენჭისყრის საფუძველზე ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ მამუკა ქარდავას არჩევის შესახებ.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №40

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ბერაიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ირაკლი ბერაიას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 42-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების გამო.

2. „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის N15/2012 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ეცნობოს N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ბერაიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №41

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

„დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „დროებითი ხმის დამთვლელი კომისიის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის N37 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევასთან დაკავშირებით ფარული კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას დროებითი ხმის დამთვლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. კახა მიქაბერიძე
2. ფრიდონ შონია
3. მზია ლემონჯარია“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №42

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ფრაქცია „ხოზის“ შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების 32-ე მუხლის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილება ფრაქცია „ხოზის“ შექმნის თაობაზე.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხოზის“ თავმჯდომარის კობა გოქაძის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №43

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

თეა გელანტიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს თეა გელანტია.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №44

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ტარიელ ალექსანდრიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ტარიელ ალექსანდრია.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №45

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

დავით ბერაიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს დავით ბერაია.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №46

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ვლადიმერ ქანთარიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ვლადიმერ ქანთარია.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №47

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

**დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარედ არჩევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-16 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს დოდო გაბუნია.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №48

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლისა და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების 32-ე მუხლის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გადაწყვეტილება ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ შექმნის თაობაზე.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის ბექა მამაცაშვილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №49

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. თეა გელანტია
2. აბელ ქირია
3. გიგა ნასარაია
4. ნიკოლოზ ვეკუა
5. შადიმან ჭილაია
6. მერაბ ფილიპია
7. მზია ლემონჯარია

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №50

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. ავთანდილ ხუნჯუა
3. გენადი ქაძანაია
4. იგორი გოგოლაძე
5. კახა მიქაბერიძე
6. ლაშა ცატავა
7. ფრიდონ შონია
8. გოჩა სიჭინავა
9. თენგიზ აბაკელია

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №51

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოჭაძე
5. აკაკი ხურცილავა
6. როლანდი სერგია
7. გია წულაია
8. გოჩა ჯობავა
9. ლაშა ცატავა

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №52

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქაძანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. როლანდი სერგია
8. მამუკა ჭოხონელიძე
9. გოჩა სიჭინავა
10. შადიმან ჭილაია
11. კონსტანტინე ნასარაია

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედუარდო ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №53

2017 წლის 22 ნოემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დოდო გაბუნია
2. მამუკა ჭოხონელიძე
3. ირაკლი ნადარაია
4. თენგიზ აბაკელია
5. მზია ლემონჯარია
6. აბელ ქირია
7. კახა მიქაბერიძე
8. დიტო ხასია
9. ავთანდილ ხუნჯუა
10. კონსტანტინე ნასარაია

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №54

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

ფრაქცია „ხოზის“ გაუქმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების 32- მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება საკრებულოს ფრაქცია „ხოზის“ გაუქმების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3.

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობაჯა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №55

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

**ხოზის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის
რამინ ხილაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსისა“ და N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 30 ნოემბრის N68/2017 განკარგულების შესაბამისად:

1. ცნობილ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის რამინ ხილაძის უფლებამოსილება.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოტის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №56

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვარაზ გაბედავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ვარაზ გაბედავას უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდეს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 42-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების გამო.

2. „ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის N15/2012 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ეცნობოს N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვარაზ გაბედავას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოტის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №57

2017 წლის 5 დეკემბერი

ხოზი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხოზის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხოზის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებები:

ა) პატარა ფოთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლის ქუჩების კეთილმოწყობის (ცემენტო-ბეტონის) სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით;

ბ) შუა ხორგის, ქარიატისა და ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალსადენი სისტემის ქსელის მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებით;

გ) საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში გზის სარეაბილიტაციო (ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობის) სამუშაოებთან დაკავშირებით;

დ) ქალაქ ხოზში ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით;

ე) ქალაქ ხოზში ქუჩების კეთილმოწყობასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით;

ვ) გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ პირველ გურიფულში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;

ზ) პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საკვიკვინიოს გზის რეაბილიტაციის (ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა) სამუშაოებთან დაკავშირებით;

თ) თორსა-დღვაბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დღვაბაში გზის რეაბილიტაციის (ცემენტო-ბეტონის საფარის მოწყობა) სამუშაოებთან დაკავშირებით;

ი) შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. გამოღმა შუა ხორგაში გზის რეაბილიტაცია;

კ) ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის კორცხოს უბანში გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;

ლ) ქვემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;

მ) ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;

- ნ) ახალი ხიბულისა და საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი (ცემენტო-ბეტონის) გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;
- ო) ცენტრალური სტადიონის მწვანე საფარის მოწყობასთან დაკავშირებით;
- პ) პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით;
- ჟ) ქალაქ ხობში ადმინისტრაციული შენობის გადახურვასა და ფასადის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით;
- რ) ქალაქ ხობის ცენტრის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით;
- ს) შუა ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობასთან დაკავშირებით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების თანადაფინანსება, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების 3¹ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, განხორციელდეს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.

3. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას, ამ განკარგულების პირველ პუნქტში ჩამოთვლილ სამუშაოებთან დაკავშირებული, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით განსაზღვრული დოკუმენტაციის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში წარდგენა.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №58

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 121-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე, თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

დანართი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება

N	ქონების დასახელება	ექსპლოატაციაში შესვლის წელი	აუდიტორის მიერ შეფასებული ღირებულება (ლარი)	დარიცხული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება (ლარი)	შენობის ფართი კვ.მ	მიწის ფართი კვ.მ
1	ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N188 (ადმინისტრაციული შენობა)	1945	69250	4847	64393	1001.17	979



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №59

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

**ხოზის მუნიციპალიტეტის მერისათვის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში**

**არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე
თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვლობის კოდექსის“ მე-54 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის, „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გაიცეს იჯარით აუქციონის წესით, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

სარგებლობის უფლებით გადასაცემი ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნუსხა

N	ქონების დასახელება	სართული	სარგებლობის ფორმა	ოთახის ფართი კვ. მ	საბაზრო ღირებულება	საიჯარო ქირა წელიწადში	საიჯარო ქირა საშუალო თვეში	ბიჯი 10%	ზე 10 %
1.	ქ. ხობი ცოტნე დადიანის ქ. N185 (ადმინისტრაციული შენობა)	IV	იჯარა	6.6	442.2	132	11	1.1	1.1



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №60

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

შპს „ხოზი დასუფთავება და განათებას“ დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების ნაწილის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106¹ მუხლის მე-5 ნაწილის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „ხოზი დასუფთავება და განათებას დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 28 თებერვლის N88 განკარგულების მე-2 პუნქტი და მის საფუძველზე დამტკიცებული დანართი.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხობის მუნიციპალიტეტის მერის მიერ „შპს „ხოზი დასუფთავება და განათებას“ წესდების დამტკიცების შესახებ“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედომერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №61

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის მერისათვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით თხოვნების ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 106¹ -ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის მერს ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, თხოვნების ფორმით, არსებობის ვადით, წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განსახორციელებლად შპს „ხოზი დასუფთავება და განათებასთვის“ გადაცემაზე, თანახმად დანართისა.

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის მერიას, მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის უფლებით, თხოვნების ფორმით გადასაცემი მოძრავი ქონების ნუსხა

N	დასახელება	მოდელი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი
1	სპეციალიზირებული ავტომანქანა ნაგავმზიდი "DAF"	AAS75PCA		1	95000	95000
2	სპეციალური ავტომანქანა "ჟირაფი"	CA1041K2612 R5		1	60000	60000
3	მოტოროლევი ბორტიანი "KEVESEKI"	HF150ZH-2		2	4000	8000
4	ნაგვის კონტეინერი (120 ლიტრიანი)			20	120	2400
5	ნაგვის კონტეინერი (240 ლიტრიანი)			150	180	27000
6	ნაგვის კონტეინერი (50 ლიტრიანი)			250	80	20000
7	მავთულბადე		მეტრი	40	9.65	386
8	ლინოლიუმი "სანტა მარია"			1	3593.1	3593.1
9	საახალწლო განათება "ფარდა"			25	494.68	12367
10	ნაძვის ხის მოსართავი			50	20.9	1045
11	ნაძვის ხის მოსართავი			50	119.88	5994
12	ასენიზაციის მანქანა	gaz 53-19		1	14500	14500
13	ტრაქტორი ბორტიანი	IPTC-2		1	8400	8400
14	ნაძვის ხე			1	34600	34600
15	ნაძვის ხის მოსართავი "ზაფთა"			3	220	660
16	ნაძვის ხის მოსართავი "ზარი"			71	52.5	3727.5
17	ნაძვის ხის მოსართავი "ბურთი"			54	45	2430
18	ნაძვის ხის მოსართავი "ბურთი"			73	52.5	3832.5
19	ნაძვის ხის კენწერო			1	300	300
20	მანათობელი გირლიანდები			32	311.25	9960
21	ნაძვის ხის კონტროლიორი			1	584	584
22	საახალწლო განათება "ფარდა"	mitn 72-04		30	288.5	8655
23	საახალწლო განათება ("ანგელოზები")			25	663.04	16576
24	საახალწლო განათება "ბეთლემის ვარსკვლავი")			17	107.76	1832
25	საახალწლო განათება (მცირე ზომის "ანგელოზები")			2	70.3	140.6
26	შადრევანი			1	183069	183068.8
27	ტრანსფორმატორი			1	5370	5370
28	სანათი SKKY-HPG			4	439	1756
29	ჰალოგენური ნათურები			4	14	56
30	სანათი - AK3004A			4	18	72
31	ტრანსფორმატორი			1	114	114
32	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, კოლხეთის			95	348.32	33090

	დასახლების შესასვლელიდან სოფელ პირველი მაისის ცენტრამდე)					
33	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, ჭყონდიდელის ქუჩა)			25	147.64	3691
34	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, კოსტავას და აღმაშენებლის ქუჩები)			47	156.87	7373
35	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, რუსთაველის ქუჩა)			20	355.55	7111
36	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, ჭავჭავაძის ქუჩა)			34	321.655	10936
37	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, ცოცნე დადიანისა და სტალინის ქუჩის მიმდებარე სკვერის განათება)			29	922.93	26765
38	გარე განათების ბოძები და სადენები- ადმინისტრაციული შენობის მინათება (ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქუჩა N189)			38	67.24	2555
39	გარე განათების ბოძები და სადენები - ადმინისტრაციული შენობის მინათება (ქ.ხობი, ცოტნე დადიანის ქუჩა N185)			36	51.19	1843
40	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობის ცენტრის მინათება)			90	182.94	16465
41	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, სტალინის ქუჩა)			10	377.4	3774
42	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, სოფელ ნოჯიხევის ცენტრის განათება)			25	540.32	13508
43	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, სოფელ შუა ხორგის განათება)			14	634.79	7487
44	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, სოფელ ახალსოფლის განათება)			24	463.29	11119
45	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, სოფელ პატარა ფოთის განათება)			14	433.07	6063
46	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი, სოფელ საგვიჩიოს განათება)			14	440.93	6173
47	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ.ხობი, სოფელ ჭალადიდის განათება)			45	394.62	17758
48	გარე განათების ბოძები და			32	200.28	6409

	სადენები (ქ. ხობი, სოფელ საჯიჯაოს (გალმა საჯიჯაო) განათება)					
49	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი, სოფელ ქვემო ქვალონის განათება)			33	485.33	16016
50	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი, სოფელ ზემო ქვალონის განათება)			17	316.82	5386
51	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი, სოფელ პირველი ხორგის განათება)			14	542.93	7601
52	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი, სოფელ გურიფულის განათება)			10	567.6	5676
53	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი, სოფელ თორსა-დღვაბის ცენტრის განათება)			11	420.27	4623
54	გარე განათების ბოძები და სადენები (ქ. ხობი, სოფელ თორსა-დღვაბა-ზუგდიდის მონაკვეთის განათება)			147	1189.18	174809
55	მაღალი განათება (მდინარე ხობის ხიდიდან მდინარე მუნჩიის ხიდამდე)			197	1092.22	215167
56	სოფელ ნოჯიხევის ხარების დედათა მონასტრის მისასვლელი გზის დაბალი განათება			14	1642.86	23000
57	ქ. ხობში ყაზბეგის ქუჩის განათება			13	208.15	2706
58	ქ. ხობში აღმაშენებლის ქუჩის განათება			42	58.5	2457
59	ქ. ხობში ქაჯაიასა და 26 მაისის ქუჩის განათება			38	117.29	4457
60	ელ. განათება სენაკი-ხობის მონაკვეთზე			215	1710.14	367680
61	სოფელ ბიის განათება			15	233.33	3500
62	სოფელ ყულევის განათება			49	326.88	16017
63	სოფელ ქარიატის განათება			10	523.9	5239
64	სოფელ ახალი ხიბულის ცენტრის განათება			65	311.8	20267
65	სოფელ საჯიჯაოს ცენტრის განათება			20	512.15	10243
66	სოფელ ხეთის განათება			83	344.29	28576
67	მინათების მძლავრი გასანათებელი ხელსაწყო			31	48.23	1495
68	ელექტრული სანათი („პლაფონი“)	თეთრი		62	7	434
69	ელექტროსადენი	(2X25)	მეტრი	200	0.6	120

70	ელექტროსადენი	(2X1)	მეტრი	200	1.1	220
71	საახალწლო განათების მოწყობილობა („ეჟექტორი“)			20	6	120
72	სპილენძის მავთულის კოჭა („დროსელი“)	250კვ.		20	18	360
73	მძლავრი გასანათებელი ხელსაწყო ("პროექტორი")	თეთრი ნათურა 150კვ		10	25	250
74	საახალწლო განათება „ფარდა“	ზომით დაახლოებით 3X0,5		36	90	3240
75	საახალწლო განათება - კომპოზიცია „ლოლო“	3 გრძ.მ		12	90	1080
76	საახალწლო განათება - „მორბენალი ფარდა ფიფქებით“	ზომით დაახლოებით 3X0,8		36	140	5040
77	საახალწლო გირლიანდა, დიდი ბურთი	მთვარე ვარსკვლავები ს ევექტით არანაკლებ 20სმ დიამეტრი		12	85	1020
78	საახალწლო განათება - „მორბენალი ფარდა“ (ჭრელი)	ზომით დაახლოებით 3X0,8		4	90	360
79	საახალწლო ნამცვის ხის მოსართავი („სტრინგი“)	დიოდის ნათურით სიგრძით 20 მეტრი		4	30	120
80	ელექტროსადენი	აპკვ 2X2,5 ალუმინი		160	0.5	80
81	ელექტროსადენი	პკვ 2X1,5 სპილენძი		150	0.7	105
82	პლასტმასის დამჭერები	პლასტმასის დამჭერი		72	5	360
83	საახალწლო ნამცვის ხის მოსართავი („სტრინგი, ფარდა“)	თეთრი, ზომით 3X4		10	180	1800
84	საკანალიზაციო სისტემა			1	116100	116100
85	ნაგვის გასატანი მანქანა (დიდი) „გინაფ-ივაგო“			1	59999	59999
86	ნაგვის გასატანი მანქანა (პატარა) ჰიუნდაის მარკის			1	20000	20000
87	წყლის შადრევანი (სოკო)			3	2678,2	8034,7
88	გარე განათების ბოძების და სადენები. ქ. ხობი ჭყონდიდელის ქუჩა რკინიგზის სადგურის მიმდ.ტერიტორია			4	139,905	559,62
89	გარე განათების ბოძები და			16	170	2720

	სადენები, სოფელი საჯიჯაოს შესასვლელიდან სტადიონამდე					
90	გარე განათების ბოძები და სანათები საჯიჯაოს ცენტრიდან სოფელ ჯაპიშაქრის მიმართულებით			8	70	560
91	წყლის შადრევანი (სოკო)			1	1434,29	1434,29
სულ						1853571.11



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №62

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N49 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. თეა გელანტია
2. აბელ ქირია
3. გიგა ნასარაია
4. ნიკოლოზ ვეკუა
5. შადიმან ჭილაია
6. მერაბ ფილიპია
7. მზია ლემონჯარია
8. გია წულაია“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №63

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

**„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის
შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22
ნოემბრის N50 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N50 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. ავთანდილ ხუნჯუა
3. გენადი ქაძანაია
4. იგორი გოგოლაძე
5. კახა მიქაბერიძე
6. ლაშა ცატავა
7. ფრიდონ შონია
8. გოჩა სიჭინავა
9. თენგიზ აბაკელია
10. კახა ლატარია
11. მერაბ ნადარაია“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №64

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N51 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოქაძე
5. აკაკი ხურცილავა
6. როლანდი სერგია
7. გია წულაია
8. გოჩა ჯობავა
9. ლაშა ცატავა
10. თემურ გულუა“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №65

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხობი

„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N52 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქაძანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. როლანდი სერგია
8. მამუკა ჭოხონელიძე
9. გოჩა სიჭინავა
10. შადიმან ჭილაია
11. კონსტანტინე ნასარაია
12. მერაბ ნადარაია
13. კახა ლატარია“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №66

2017 წლის 5 დეკემბერი

ქ. ხოზი

**„ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის
შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22
ნოემბრის N53 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N53 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დოდო გაბუნია
2. მამუკა ჭოხონელიძე
3. ირაკლი ნადარაია
4. თენგიზ აბაკელია
5. მზია ლემონჯარია
6. აბელ ქირია
7. კახა მიქაბერიძე
8. დიტო ხასია
9. ავთანდილ ხუნჯუა
10. კონსტანტინე ნასარაია
11. ია ჯიშკარიანი“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N67

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

**ხოზის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის
დავითი ცინაძის უფლებამოსილების ცნობის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსისა“ და N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2017 წლის 8 დეკემბრის N70/2017 განკარგულების შესაბამისად:

1. ცნობილ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრის დავითი ცინაძის უფლებამოსილება.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N68

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების 32-ე მუხლის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ რეგისტრაციის თაობაზე.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარის თენგიზ აბაკელიას თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N69

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლისა და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების 32-ე მუხლის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის -- დეკემბრის გადაწყვეტილება საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ რეგისტრაციის თაობაზე.

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარის მერაბი ფილიპიას თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, მხარისათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N70

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

„თეა გელანტიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „თეა გელანტიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N43 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თეა გელანტიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს თეა გელანტია.“

გ) განკარგულების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3)

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N71

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

„ტარიელ ალექსანდრიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ტარიელ ალექსანდრიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N44 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტარიელ ალექსანდრიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“;

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ტარიელ ალექსანდრია.“

გ) განკარგულების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N72

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

„დავით ბერაიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „დავით ბერაიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N45 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დავით ბერაიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს დავით ბერაია.“

გ) განკარგულების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N73

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

„ვლადიმერ ქანთარიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 22 ნოემბრის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ვლადიმერ ქანთარიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 22 ნოემბრის N46 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვლადიმერ ქანთარიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“;

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს ვლადიმერ ქანთარია.“;

გ) განკარგულების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N74

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

„დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N47 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N47 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ“;

ბ) განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს დოდო გაბუნია.“

გ) განკარგულების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დადგენილი საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს შესაბამისად.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N75

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტის, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. თეა გელანტია
2. აბელ ქირია
3. გიგა ნასარაია
4. ნიკოლოზ ვეკუა
5. შადიმან ჭილაია
6. მერაბ ფილიპია
7. მზია ლემონჯარია
8. გია წულაია

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N49 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N76

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტის, „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ტარიელ ალექსანდრია
2. ავთანდილ ხუნჯუა
3. გენადი ქაძანაია
4. იგორი გოგოლაძე
5. კახა მიქაბერიძე
6. ლაშა ცატავა
7. ფრიდონ შონია
8. გოჩა სიჭინავა
9. თენგიზ აბაკელია
10. კახა ლატარია
11. მერაბ ნადარაია
12. ბექა მამაცაშვილი

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N50 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N77

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტის, „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. დიტო ხასია
4. კობა გოქაძე
5. აკაკი ხურცილავა
6. როლანდი სერგია
7. გია წულაია
8. გოჩა ჯობავა
9. ლაშა ცატავა
10. თემურ გულუა

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N51 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N78

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხოზი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტის, „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ვლადიმერ ქანთარია
2. ნიკოლოზ ვეკუა
3. იგორ გოგოლაძე
4. გოჩა ჯობავა
5. გენადი ქაძანაია
6. აკაკი ხურცილავა
7. როლანდი სერგია
8. მამუკა ჭოხონელიძე
9. გოჩა სიჭინავა
10. შადიმან ჭილაია
11. კონსტანტინე ნასარაია
12. მერაბ ნადარაია
13. კახა ლატარია

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N52 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N79

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-8 პუნქტის, „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N7 დადგენილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. დოდო გაბუნია
2. მამუკა ჭოხონელიძე
3. ირაკლი ნადარაია
4. თენგიზ აბაკელია
5. მზია ლემონჯარია
6. აბელ ქირია
7. კახა მიქაბერიძე
8. დიტო ხასია
9. ავთანდილ ხუნჯუა
10. კონსტანტინე ნასარაია
11. ია ჯიშკარიანი

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 ნოემბრის N53 განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N80

2017 წლის 26 დეკემბერი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N67 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2017 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N67 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 13. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	პროგრამის დასახელება	პროგრამის ბიუჯეტი (ლარი)	პროგრამის მოქმედების ვადა	პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	პროგრამის ღირებულება თითოეულ სუბიექტზე (ლარი)
20.	უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვება და მომსახურება	64000	01.01.2017-31.12.2017	120	
21.	სადღესასწაულო დღეებში:	11550			
	მრავალშვილიანთა დახმარება	11250	01.01.2017 - 31.12.2017	80	150
	100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარება	300	01.01.2017-31.12.2017	5	150
22.	დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის	38600	01.01.2017 - 31.12.2017	350	პირველ და მეორე ბავშვზე - 100; მესამე-მეოთხე და მეხუთე ბავშვზე - 300, მეექვსე და ზევით ბავშვზე 600 ლარი
23.	სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფ ოჯახებზე წყლის ხარჯის ანაზღაურება	9000	01.01.2017 - 31.12.2017	100 ოჯახი	1.77

24.	ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	30000	01.01.2017 - 31.12.2017		300-დან 3000-მდე
25.	ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის	55000	01.01.2017 - 31.12.2017		60-დან 200-მდე
26.	საოპერაციო და ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება პაციენტის მიერ გადასახდელი თანხიდან (500 ლარი და ზემოთ)	114 000	01.01.2017 - 31.12.2017	50-70	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის 20-50% - არაუმეტეს 2000 ლარისა
27.	დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	18000	01.01.2017- 31.12.2017	15	100
28.	დევნილის დაკრძალვის ხარჯები	3600	01.01.2017 - 31.12.2017	10	200
29.	ომი ვეტერანის დაკრძალვის ხარჯები	800	01.01.2017 - 31.12.2017	4	250
30.	დახმარება ჩერნობილში მონაწილეთათვის	1600	01.04.2017	16	100
31.	სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარება	38140	01.01.2017 - 31.12.2017	40	500-დან 4000-მდე
32.	სამამულო ომის ვეტერანების დახმარება (9 მაისი)	500	01.05.2017	2	250
33.	0-18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარება	7000	01.01.2017- 01.12.2017	20-30	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით 100-500ლარამდე
34.	8 აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	1800	08.08.2017	9	200
35.	აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	3400	17.09.2017	17	200
36.	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად შშმპ-თა ერთჯერადი დახმარება	1400	26.05.2017	7	200

37.	უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში, ყოველთვიური ბინის ქირის გადასახადი	700	01.01.2017 31.12.2017	5	50-დან 150-მდე
38.	„C“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსება პროგრამული მკურნალობის დასაწყებად	29500	01.01.2017 31.12.2017	80	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით, არა უმეტეს 70% და არა უმეტეს 350 ლარისა
20.	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი დახმარება (სტატუს მინიჭებულთა)	1500	01.01.2017 31.12.2017	5	300
ჯამი		430090			

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №81
2017 წლის 26 დეკემბერი
ქ. ხობი

საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და „ხოზის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის საწვავის ხარჯების ლიმიტი თანახმად №1 დანართისა.
2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის საწვავის ხარჯების ლიმიტი თანახმად №2 დანართისა.
3. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ხარჯების ლიმიტი თანახმად №3 დანართისა.
4. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ხარჯების ლიმიტი თანახმად №4 დანართისა.
5. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტი თანახმად №5 დანართისა.
6. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტი თანახმად №6 დანართისა.
7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ივლისის №53 განკარგულება.
8. განკარგულება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.
9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსაზღვრული საწვავის ხარჯების ლიმიტი

№	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლიტრი)		ლიმიტი წელიწადში (ლიტრი)	
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი
15.	საკრებულოს თავმჯდომარე	-	750	-	9000
16.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		170		2040
17.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	80	-	960	-
18.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	80	-	960	-
19.	საკრებულოს აპარატის უფროსი	210	-	2520	-
20.	საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	20	-	240	-
21.	საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი	-	20	-	240

ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განსაზღვრული საწვავის ხარჯების ლიმიტი

№	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლიტრი)		ლიმიტი წელიწადში (ლიტრი)	
		ბენზინი	დიზელი	ბენზინი	დიზელი
1.	მერი	900	-	10800	-
2.	მერის პირველი მოადგილე	-	300	-	3600
3.	მერის მოადგილე	300	-	3600	-
4.	მერიის ადმინისტრაციული სამსახური	200	-	2400	-
5.	მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	400	-	4800	-
6.	მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური	150	-	1800	-
7.	მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური	50	-	600	-
8.	მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური	50	-	600	-
9.	მერიის შიდა აუდიტისა და კონტროლის სამსახური	150	-	1800	-
10.	მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური	-	390	-	4680
11.	მერიის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი	-	150	-	1800
12.	მერთან არსებული, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია	80	-	960	-
13.	მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	50	-	600	-
14.	ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციული შენობა (საზოგადოებრივი ცენტრის ელექტრომომარაგება დიზელის გენერატორით)	-	45	-	540

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების (კორპორაციული საავანსო ნომრების) ხარჯების ლიმიტი

№	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლარი)	ლიმიტი წელიწადში (ლარი)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	35	420
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	25	300
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	20	240
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	20	240
5.	საკრებულოს აპარატის უფროსი	20	240
6.	საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	10	120
7.	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	10	120
8.	ინტერნეტი	5	60

ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო მომსახურების
(კორპორაციული საავანსო ნომრების) ხარჯების ლიმიტი

№	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლარი)	ლიმიტი წელიწადში (ლარი)
1.	მერი	35	420
2.	მერის პირველი მოადგილე	30	360
3.	მერის მოადგილე	25	300
4.	მერიის სამსახურის უფროსი	20	240
5.	მერიის სამსახურის განყოფილების უფროსი	10	120
6.	მერის თანაშემწე	10	120
7.	მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	10	120
8.	ინტერნეტი	5	60
9.	ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის დაცვა	5	60
10.	ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში დამონტაჟებული სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სასიგნალო გადამცემი მოწყობილობა	1	12

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსაზღვრული ფიქსირებული სატელეფონო
მომსახურების ხარჯების ლიმიტი**

№	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლარი)	ლიმიტი წელიწადში (ლარი)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	50	600
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	30	360
3.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	20	240
4.	საკრებულოს აპარატის უფროსი	20	240
5.	საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსი	20	240

**ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის განსაზღვრული ფიქსირებული სატელეფონო
მომსახურების ხარჯების ლიმიტი**

№	მხარჯავი სუბიექტების დასახელება	ლიმიტი თვეში (ლარი)	ლიმიტი წელიწადში (ლარი)
1.	მერი	50	600
2.	მერის პირველი მოადგილე	40	480
3.	მერის მოადგილე	40	480
4.	მერიის სამსახურის უფროსი (გარდა მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსისა)	20	240
5.	მერიის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი	50	600
6.	მერიის სამსახურის განყოფილების უფროსი	15	180
7.	მერის თანაშემწე	15	180
8.	მერის წარმომადგენელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში	15	180
9.	მოქალაქეთა მისაღები	15	180
10.	მერიის სამსახურების განყოფილებებში არსებული სხვა სატელეფონო ნომრები	15	180



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N82

2017 წლის 26 დეკემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს თანდართული „ხოზის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა“.

2. განკარგულება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის რეგულირების სფერო, განსახორციელებელი საქმიანობა და მიზანი

1. პროგრამის რეგულირების სფეროა ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობა მოიცავს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ხობის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის მდგომარეობის შესწავლას და სათანადო ფინანსური დახმარების გაწევას, ასევე სხვადასხვა კატეგორიებზე სადღესასწაულო და მნიშვნელოვან დღეებში ერთჯერადი წახალისების თანხის გაცემას.

3. პროგრამის მიზანია ხობის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე

პროგრამით მოსარგებლე პირთა წრეს მიეკუთვნებიან ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:

- ა) მარტოხელა პენსიონერები;
- ბ) იძულებით გადაადგილებული პირები;
- გ) ომის ვეტერანები;
- დ) არასრულწლოვანი ობლები;
- ე) მრავალშვილიანი ოჯახები;
- ვ) ავადმყოფები;
- ზ) უმუშევრები;
- თ) ეკონომიკურად შეჭირვებული და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები;
- ი) მოქალაქეები, რომლებიც სტიქიის შედეგად საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას;
- კ) ახალშობილთა ოჯახები;
- ლ) 100 და 100 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები;
- მ) დიალიზზე მყოფი მოქალაქეები;
- ნ) ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულები;
- ო) 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;
- პ) უსახლკაროები, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს;
- ჟ) „C“ ჰეპატიტით დაავადებული პირები;

რ) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია;

ს) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები;

ტ) შშმ პირები (მაღალ-ტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონორიგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია) ერთჯერადი დახმარების ფარგლებში).

მუხლი 3. პროგრამის მოქმედების ვადა, მისი დაწყების და დასრულების დრო

პროგრამა მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. გასაცემლის პერიოდულობა

პროგრამით განსაზღვრული გასაცემლები შეიძლება გაიცეს პროგრამის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე, შემოსული განცხადებებისა და წინადადებების შესაბამისად, გარდა მე-13 მუხლით კონკრეტული თარიღისთვის განსაზღვრული ერთჯერადი გასაცემლებისა.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 445900 (ოთხას ორმოცდახუთი ათას ცხრაასი) ლარს და ფინანსდება ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 6. პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე

პროგრამის განხორციელების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესებით.

მუხლი 7. პროგრამის ადმინისტრირების, მისი მართვის, ზედამხედველობის, ინსპექტირებისა და კონტროლის წესები და პირობები

1. პროგრამის ადმინისტრირებას, მართვას, ზედამხედველობას და ინსპექტირებას ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური.

2. კონტროლის წესები და პირობები რეგულირდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ხობის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელების წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მომზადებასა და მიღებაზე უფლებამოსილი პირები

1. პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილების პროექტს ამზადებს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური - იმ პროგრამების რეალიზებისთვის, რომელთა ბენეფიციარები წინასწარ არის დადგენილი წლის ან წლის გარკვეული ან/და კონკრეტული პერიოდისთვის;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისია - იმ პროგრამების რეალიზებისთვის, რომელთა ბენეფიციარების დადგენა მოითხოვს შერჩევას, შემოწმებას, შეფასებას და კოლეგიური გადაწყვეტილების მიღებას.

2. პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილებას იღებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი, რისთვისაც გამოიცემა მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება.

მუხლი 9. პროგრამით სარგებლობისათვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები

1. პროგრამით სარგებლობისათვის სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საბანკო ანგარიშის ნომერი (ფულადი დახმარების შემთხვევაში);

დ) კონკრეტული ფაქტის გამო დახმარების გაწევის შემთხვევაში, ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის წერილობითი დოკუმენტი (დასახმარებელი სუბიექტის სოციალური მდგომარეობის დასაბუთებით).

ვ) საოპერაციო ხარჯების ანაზღაურების შემთხვევაში - ფორმა №100 (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), ანგარიშფაქტურა და კალკულაცია.

2. პროგრამით სარგებლობისათვის წარსადგენ დამატებით დოკუმენტთა ნუსხა კონკრეტული პროგრამისთვის (გასაცემლისთვის) განისაზღვრება ხობის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ხობის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელების წესით.

მუხლი 10. სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა

პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 60 (სამოცი) ლარით, ხოლო მაქსიმალური - 4000 (ოთხი ათასი) ლარით.

მუხლი 11. ადმინისტრირებისთვის საჭირო სხვა პირობები

სოციალური დახმარების თაობაზე განაცხადი მიიღება როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით.

მუხლი 12. ფინანსური დახმარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წესი და მონაწილე მხარეები

ფინანსური დახმარება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით და აღსრულება დასახმარებელი სუბიექტის საბანკო ანგარიშზე ან ამ სუბიექტის მომსახურე შესაბამისი იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ დასახმარებელი სუბიექტი და ხობის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 13. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

№	პროგრამის დასახელება	პროგრამის ბიუჯეტი (ლარი)	პროგრამის მოქმედების ვადა	პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	პროგრამის ღირებულება თითოეულ სუბიექტზე (ლარი)
39.	უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარების ერთჯერადი კვება და მომსახურება	80000	01.01.2018 - 31.12.2018	120	
40.	სადღესასწაულო დღეებში:	13200			
	მრავალშვილიანთა დახმარება	12000	01.01.2018 - 31.12.2018	80	150
	არასრულწლოვან ობოლთა დახმარება	450	01.01.2018 - 31.12.2018	3	150
	100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარება	750	01.01.2018 - 31.12.2018	5	150
41.	დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის	50000	01.01.2018 - 31.12.2018	350	პირველ და მეორე ბავშვზე - 100; მესამე-მეოთხე და მეხუთე ბავშვზე - 300, მეექვსე და ზევით ბავშვზე 600ლარი,
42.	სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურება (ყოველთვიურად)	9000	01.01.2018 - 31.12.2018	100 ოჯახი	1,77
43.	ხანძრით და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება	30000	01.01.2018 - 31.12.2018		300-დან 3000-მდე

	(ერთჯერადად)				
44.	ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის	55000	01.01.2018 - 31.12.2018		60-დან 200-მდე
45.	საოპერაციო და ქიმიო, იოდო და სხივური თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება პაციენტის მიერ გადასახდელი თანხიდან (500 ლარი და ზემოთ) (ერთჯერადად)	90000	01.01.2018 - 31.12.2018	50-70	ანგარიშ-ფაქტურით წარმოდგენილი ხარჯების 20%-იდან 50%-ის ფარგლებში და არაუმეტეს 2000 ლარისა
46.	დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	18000	01.01.2018 - 31.12.2018	15	100
47.	დევნილის დაკრძალვის ხარჯები	2000	01.01.2018 - 31.12.2018	10	200
48.	ომი ვეტერანის დაკრძალვის ხარჯები	1500	01.01.2018 - 31.12.2018	6	250
49.	დახმარება ჩერნობილის კატასტროფის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის	1600	01.04.2018	16	100
50.	სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად ერთჯერადი თანხით დახმარება	50000	01.01.2018 - 31.12.2018	40	500-დან 4000-მდე
51.	სამამულო ომის ვეტერანების დახმარება (9 მაისი)	1000	01.05.2018	2	500
52.	0-18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამედიცინო სარეაბილიტაციო ერთჯერადი დახმარება	7000	01.01.2018- 31.12.2018	20-30	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით 100-500ლარამდე
53.	8 აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	1800	08.08.2018	9	200
54.	აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	3400	17.09.2018	17	200
55.	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად შშმპ-თა ერთჯერადი დახმარება	1400	26.05.2018	7	200
56.	უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში, ყოველთვიური ბინის ქირის	3900	01.01.2018 - 31.12.2018	5	50-დან 150-მდე

	გადასახადი				
57.	„C“ ჰეპატიტით დაავადებულთათვის საჭირო გამოკვლევის დაფინანსება პროგრამული მკურნალობის დასაწყებად (ერთჯერადად)	15000	01.01.2018 - 31.12.2018	80	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით, თანადაფინანსება 70% და არა უმეტეს 350 ლარისა
20	ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება	2100	01.01.2018 - 31.12.2018	7	300
21	შშმ პირთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია) დაფინანსება (ერთჯერადად)	10 0000		20-30	წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით, თანადაფინანსება 50% და არა უმეტეს 500 ლარისა
	ჯამი	445900			

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა



ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №83

2017 წლის 26 დეკემბერი

ქ. ხობი

**ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის
მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს თანდართული „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა“.
2. განკარგულება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის რეგულირების სფერო, განსახორციელებელი საქმიანობა და მიზანი

ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის 2018 წლის მუნიციპალური პროგრამის (შემდგომ - პროგრამა) მიზანია ხობის მუნიციპალიტეტის (შემდგომ - მუნიციპალიტეტი) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და დამატებითი ამბულატორიული მომსახურება იმ ადმინისტრაციულ ერთეულებში სადაც არ ფუნქციონირებს სახელმწიფო ამბულატორიული პროგრამა და ასევე არის მოსახლეობის რაოდენობით დიდი სოფლები, დამატებით მედდის მომსახურებაზე.

მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე

პროგრამის მოსარგებლეა მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობა სადაც არ ფუნქციონირებს სახელმწიფო ამბულატორიული პროგრამა და ასევე, დამატებით - მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით მუნიციპალიტეტის დიდი ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობა.

მუხლი 3. პროგრამის მოქმედების ვადა, მისი დაწყების და დასრულების დრო და მომსახურების გრაფიკი

1. პროგრამა მოქმედებს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
2. პროგრამის ფარგლებში ექიმების მომსახურების გრაფიკია კვირაში ერთი დღე, ხოლო მედდების მომსახურების გრაფიკი - ყოველდღიურად (გარდა დასვენების და უქმე დღეებისა).

მუხლი 4. გასაცემლის პერიოდულობა.

პროგრამით გათვალისწინებული გასაცემლები გაიცემა პროგრამის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე, მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოდენობით და ვადებში.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

1. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 36240 (ოცდათექვსმეტი ათას ორას ორმოცი) ლარს.
2. პროგრამა ფინანსდება ხობის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 6. პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე

1. პროგრამის განხორციელების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესებით.
2. პროგრამა ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის წინადადებით, ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

მუხლი 7. პროგრამის ადმინისტრირების, მისი მართვის, ზედამხედველობის, ინსპექტირებისა და კონტროლის წესები და პირობები.

1. პროგრამის ადმინისტრირებას, მართვას, ზედამხედველობას და ინსპექტირებას ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური.
2. კონტროლის წესები და პირობები რეგულირდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ხობის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელების წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

	მედიკამენტი		360	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30	30
	მენჯმენტი		6000	500	500	500	500	500	500	500	500	500	500	500	500
	ჯამი		36240												



ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N84

2017 წლის 26 დეკემბერი

ქ. ხობი

ხოზის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-6 მუხლის მე-8 პუნქტისა და მე-13 მუხლების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 2018-2022 წლების გეგმა თანახმად დანართისა.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

საკრებულოს თავმჯდომარე

ედიშერი ჯობავა

1. შესავალი

საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (ნმესგ) – შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სამოქმედო გეგმა“ – შემუშავებულია ნარჩენების მართვის კოდექსისა და ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად. სამოქმედო გეგმის მიზანია საქართველოში ნარჩენების მართვის განვითარების პროცესის ჰარმონიზება ევროკავშირის ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან. სამოქმედო გეგმამდე შემუშავდა ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია (ნმეს). სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საქართველოს ნარჩენების მართვის პოლიტიკის განუყოფელი ნაწილებია. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები დაკავშირებულია სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან.

სტრატეგია მოიცავს 15-წლიან პერიოდს (2016-2030 წწ.), სამოქმედო გეგმა კი შემუშავდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ. პირველი სამოქმედო გეგმა მოიცავს 2016-2020 წლებს. სამოქმედო გეგმა ცოცხალი დოკუმენტია, რომელიც შეიძლება განახლდეს. სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას აქვს ერთიანი ფორმატი და სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ღონისძიებები ემსახურება სტრატეგიით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას (იხ. დანართი 1). სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია 2012-2016 წლების საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნულ პროგრამასთან და ითვალისწინებს საქართველოს გარემოსდაცვითი საქმიანობის შეფასების (გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისია, 2015 წ.) რეკომენდაციებს. სამოქმედო გეგმაში მოცემული ფინანსური გათვლები საპროგნოზო და დაზუსტდება კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრის შესაბამისად.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო „ლოგიკური ჩარჩო-მიდგომა“ (Logical Framework Approach – LFA), რომელიც ითვალისწინებს არსებული სიტუაციის შეფასებას და გამოწვევების იდენტიფიცირებას; ასევე შესაბამისი მიზნების განსაზღვრასა და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას. თითოეული დასახული მიზნისათვის სტრატეგიაში გაწერილია ამოცანები (შესრულების ვადების მითითებით). თითოეული ამოცანის მისაღწევად საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც შეადგენენ სამოქმედო გეგმის ძირითად ნაწილს.

LFA მიდგომა შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

- ხედვა
- მიზნები (ხედვის შესაბამისად)
- ამოცანები (მიზნების შესაბამისად)
- ღონისძიებები (ამოცანების შესაბამისად)

ქვემოთ ილუსტრირებულია აღნიშნული მიდგომა:

აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა განისაზღვროს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ამოცანები. ღონისძიებები კი აუცილებლად კონკრეტული უნდა იყოს და მითითებული ჰქონდეს შესრულების ვადები.

LFA მიდგომა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (გბრდს) მისცემს გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და მთავრობისთვის ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ანგარიშის წარდგენის საშუალებას.

კოდექსის¹ მიხედვით, ამოცანებისა და ღონისძიებების განსაზღვრისას, სავალდებულოა ეკოლოგიური სარგებლის და ტექნიკურ-ფინანსური საკითხების გათვალისწინება. გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და ღონისძიებების განხორციელება უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო პირობების შექმნას, რაც მოკლედ მიმოხილულია მე-4 თავში.

სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ინტენსიური კონსულტაციების საფუძველზე დაინტერესებულ მხარეებთან. მიზნები, ასევე ამოცანები და ღონისძიებები, მათი მნიშვნელობის მეტი თვალსაჩინოებისათვის, დაჯგუფებულია ცხრა მიმართულებად:

1. კანონმდებლობა
2. ნარჩენების მართვის დაგეგმვა

3. ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება
4. ნაგავსაყრელები
5. პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა
6. ხარჯების ამოღება
7. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება
8. მონაცემები ნარჩენების შესახებ
9. მართვის შესაძლებლობები.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ნარჩენების მართვა საკმაოდ რთული პროცესია და მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ სისტემებთან, ხანგრძლივი პროცესია. შესაბამისად, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზანია შექმნას მყარი საფუძველი ქვეყანაში ნარჩენების მართვის სისტემის ეტაპობრივი ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შესაძლებლობების გაძლიერებას, (პერსონალის კომპეტენტურობა, ფისკალური საშუალებები, ადმინისტრაციული სისტემები და ა.შ.) მმართველობის ყველა დონეზე და ზოგადად – ცნობიერების ამაღლებას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მომზადებულია ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად და მასში წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს 2015 წლისათვის არსებულ მდგომარეობას.

2. არსებული მდგომარეობა და სამომავლო საჭიროებები

ნარჩენების სფეროში არსებული მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები მოკლედ განხილულია ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიაში. იმის გამო, რომ ქვეყანაში არ არსებობდა ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემა, სამოქმედო გეგმაში ნარჩენების სახეობების, მახასიათებლებისა და რაოდენობის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია არ არის სრული.

2.1. ნარჩენების მართვა დღეის მდგომარეობით

ნარჩენების შეგროვების, განთავსებისა და რეციკლირების სისტემები ამ ეტაპზე შეზღუდულად არის წარმოდგენილი საქართველოში. აღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებით პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს სახიფათო და ინდუსტრიული (საწარმოების) ნარჩენების მართვა.

ნარჩენების შეგროვების მომსახურება არ მოიცავს სასოფლო დასახლებებს. არსებული ნაგავსაყრელები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ქვეყანაში არსებობს უნებართვო და ე.წ. არაკონტროლირებადი სტიქიური ნაგავსაყრელები. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის კოდექსის მიღება, რომელიც აწესებს მოთხოვნებს ქვეყანაში ნარჩენების მართვის მომავალი განვითარებისთვის. ასევე, ერთ-ერთ ყველაზე პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობის ინიცირება ცენტრალიზებული მართვის სისტემით.

ნარჩენების წარმოქმნა

საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 900 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი წარმოიქმნება, საიდანაც 700 ათასი ტონა განთავსდება ოფიციალურ ნაგავსაყრელებზე. საქართველოს სამ რეგიონში ჩატარებული სხვადასხვა სახის შეფასებების საფუძველზე დადგინდა, რომ მუნიციპალური ნარჩენები ძირითადად შედგება საკვების და ბალის (~60%), ქაღალდის და მუყაოს (~10%), პლასტიკის (~10%) და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენებისგან (<1%). რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, ქვეყანაში ვადაგასული პესტიციდების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 4 000 ტონას, პოლიქლორირებული ბიფენილების რაოდენობა – 600 ტონას, ხოლო დარიშხანის შემცველი ნარჩენები დაახლოებით 120 000 ტონას. საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 1 500 ათასი ტონა სახიფათო სამედიცინო ნარჩენი წარმოიქმნება. უცნობია ყოველწლიურად წარმოქმნილი სხვა სახის სახიფათო და სამრეწველო ნარჩენების რაოდენობა.

იმპორტი და ექსპორტი

საქართველოში სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტით გადაზიდვები ხორციელდება ბაზელის კონვენციის და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებისა და პროცედურების შესაბამისად.

საბაჟო დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, 2013 წელს საქართველოდან 36 ათასი ტონა ნარჩენი იქნა ექსპორტირებული, ხოლო ნარჩენების იმპორტმა 17 ათასი ტონა შეადგინა.

ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების არსებული სისტემები

ნარჩენების შეგროვება ხორციელდება მუნიციპალიტეტების მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში. სასოფლო დასახლებებში ძირითადად არ ხდება ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიწოდება. ნარჩენების კონტეინერები და ნაგავმზიდები უმეტეს შემთხვევაში არ შეესაბამება სტანდარტებს. დღესდღეობით არ არსებობს ნარჩენების წყაროსთან სეპარირების სისტემები.

საქართველოში აღრიცხულია 60-მდე ნაგავსაყრელი. მათგან, 2015 წლის მდგომარეობით, 13 დაიხურა, ხოლო 28 განახლდა. ასევე, მოეწყო სამი სანიტარიული ნაგავსაყრელი, კერძოდ:

- თბილისის ნაგავსაყრელი
- რუსთავის ნაგავსაყრელი
- ბორჯომის ნაგავსაყრელი .

დაგეგმილია სამი ახალი რეგიონული ნაგავსაყრელის მშენებლობა:

- აჭარის ა/რ-ის ნაგავსაყრელი;
- იმერეთის რეგიონული ნაგავსაყრელი (მოემსახურება იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებს);
- ქვემო ქართლის რეგიონული ნაგავსაყრელი.

ქვეყანაში არის ბევრი უნებართვო და არაკონტროლირებადი სტიქიური ნაგავსაყრელი.

ქვეყანაში არ არის ინერტული ნარჩენების ოფიციალური ნებართვის მქონე ნაგავსაყრელები.

შესაბამისად, ინერტული, მათ შორის სამშენებლო ნარჩენები ნაწილობრივ განთავსდება

არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებზე ან გამოიყენება გარკვეული ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისას ამოვსებითი/მოსწორებითი სამუშაოებისათვის.

სახიფათო ნარჩენების მართვა

უცნობია ყოველწლიურად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების რაოდენობა. არ ხდება მუნიციპალური სახიფათო და სხვა ნარჩენების სეპარირებული შეგროვება.

ქვეყანაში არ მოქმედებს სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი. ხდება მხოლოდ გარკვეული სახის სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია და ისიც შეზღუდული რაოდენობით.

სპეციფიკური ნარჩენების მართვის არსებული სისტემა

საქართველოში არ არსებობს სპეციფიკური ნარჩენების მართვის, მათ შორის, სეპარირებული შეგროვების სისტემები, თუმცა არსებობს გარკვეული გამოცდილება სპეციფიკური ნარჩენების გადამუშავების კუთხით (როგორცაა, მაგალითად საბურავები, აკუმულატორები, შეფუთვის ნარჩენები და სხვა).

ნარჩენებით დაბინძურებული ადგილები

საქართველოში თითქმის ყველა დასახლებაშია ერთი ან მეტი სტიქიური ნაგავსაყრელი.

სავარაუდოდ, აღნიშნულ ნაგავსაყრელებზე ნიადაგი უმეტესად დაბინძურებულია. ასევე, შესაძლებელია უარყოფითი ზემოქმედება შეიმჩნეოდეს ზედაპირულ და გრუნტის წყლებზეც.

საქართველოში დაიწყო ზოგიერთი დახურული ნაგავსაყრელის რემედიაცია და მონიტორინგი. არ არის ჩატარებული ისტორიულად დაბინძურებული ადგილების სრული ინვენტარიზაცია. ასევე, მცირე გამონაკლისების გარდა, არ არის შეფასებული რისკები და არ არის შემუშავებული რემედიაციის გეგმები.

ნარჩენების მართვის ორგანიზება

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია

ეროვნულ დონეზე ნარჩენების პოლიტიკის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, ასევე

კანონმდებლობის შემუშავებასა და განხორციელების კოორდინირებაზე. მუნიციპალიტეტები

პასუხისმგებლები არიან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვასა და

გამართულ ფუნქციონირებაზე. ნარჩენების ტრანსპორტით გადაზიდვაზე საბაჟო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო

დეპარტამენტი, ხოლო ბაზელის კონვენციის კომპეტენტურ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ პასუხისმგებელია არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობასა და მართვაზე, ასევე მათ დაქვემდებარებაში არსებული ნაგავსაყრელების დახურვაზე (გარდა აჭარის ა/რ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელებისა).

2.2. ნარჩენების მართვა სამომავლოდ

სამომავლოდ ნარჩენების მართვა ძირითადად უნდა იყოს საჯარო სექტორის პასუხისმგებლობა. სამრეწველო და მუნიციპალური ნარჩენი არ უნდა წარმოადგენდეს პრობლემას მოსახლეობისა თუ სამრეწველო სექტორისთვის და მათთვის მიწოდებული სახელმწიფო მომსახურება ამ სფეროში უნდა იყოს არამომგებიანი, თუმცა მომსახურების ღირებულება სრულად უნდა ფარავდეს ნარჩენების მართვის ხარჯებს. ამასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა შექმნას შესაბამისი პირობები კერძო სექტორის ჩართულობისათვის ნარჩენების მართვაში, განსაკუთრებით რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებებში.

ნარჩენების მართვა უნდა ხორციელდებოდეს „დამზინდურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად, ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკების გათვალისწინებით. მაღალი რისკების არსებობის შემთხვევაში, ყურადღებით უნდა იქნეს განხილული პრივატიზებისა და მისი მიზანშეწონილობის საკითხი.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, აუცილებელია ახალი ან დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება.

ნარჩენების წარმოქმნა

მონაცემები ნარჩენების შესახებ ძალიან მწირია, თუმცა კოდექსით განსაზღვრული აღრიცხვა-ანგარიშების სისტემა იძლევა სრულყოფილი მონაცემების მიღებისა და მონაცემთა ბაზის წარმოების საშუალებას. შესაბამისად, შემდეგი ქვეთავები ინდიკატორული ხასიათისაა და განსაზღვრავს სამომავლო მიმართულებებს.

ინფრასტრუქტურის სისტემის საჭიროება

ნარჩენების მართვა ითვალისწინებს რთული ინფრასტრუქტურული სისტემის არსებობას შეგროვების (მათ შორის, სეპარირებული შეგროვების), ტრანსპორტირების, გადამტვირთავი სადგურების, რეციკლირების, აღდგენის და განთავსების ობიექტების ჩათვლით. ეფექტიანი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, საჭიროა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები და შეფასებები ეროვნულ ან რეგიონულ/მუნიციპალურ დონეებზე მომავალში წარმოქმნილ ნარჩენებთან დაკავშირებით.

ახალი ნაგავსაყრელები

საჭიროა ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობა საქართველოში. ნაგავსაყრელების მშენებლობა უკვე განსაზღვრულია იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში რეგიონული ნაგავსაყრელების აშენების მიზნით. გარდა ამისა, საჭიროა ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მშენებლობა, რომელიც მოემსახურება შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებს.

ნარჩენების აღდგენა

საქართველოში ნარჩენების აღდგენის დიდი პოტენციალია. სხვადასხვა სახის ნარჩენი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც რესურსი, განთავსებულია ნაგავსაყრელებზე. არ ხდება წარმოქმნილი სამედიცინო ნარჩენების ინსინერაცია/თანაინსინერაციის შედეგად ენერჯის აღდგენა.

სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების აღდგენის მიზნით საჭიროა ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების ან/და დახარისხების (სორტირების) სისტემების დანერგვა და ინსინერაცია/თანაინსინერაციის გზით ენერჯის აღდგენა იმ ნარჩენებიდან, რომელიც რეციკლირებას არ ექვემდებარება.

ნარჩენების ინსინერაცია ან/და თანაინსინერაცია ითვალისწინებს ნაგავსაყრელზე განსათავსებელი ნარჩენის მინიმუმაციას და ამავედროულად ენერჯის აღდგენას. სითბოსა და ენერჯის

კომბინირებული წარმოქმნა ნარჩენებიდან ენერჯის მიღების ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. ინსინერაციის დროს მხოლოდ სითბოს მიღებით ხდება დაახლოებით 40% ენერჯის აღდგენა, მაშინ როცა ზემოაღნიშნული კომბინაციით აღდგენა ენერჯის 80-85%. თუმცა ენერჯის ასეთი კომბინირებული აღდგენის საინვესტიციო ღირებულება საკმაოდ მაღალია.

ენერჯის აღდგენა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ცენტრალური გათბობის სისტემები და შესაბამისი მომხმარებელი. ელექტროგადამცემი ქსელიც ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ უზრუნველყოფილი იყოს ენერჯის მოხმარება ზემოთ აღწერილი კომბინირებული აღდგენის შემთხვევაში.

არსებული ნაგავსაყრელების დახურვა და განახლება

არსებული ოფიციალური, მაგრამ უნებართვო ნაგავსაყრელებისათვის უნდა მომზადდეს ნაგავსაყრელის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა, რაც გულისხმობს ნაგავსაყრელის ფუნქციონირების გაგრძელებას ან დახურვას. შესაბამისობის გეგმებს ითანხმებს გბრდს. ასევე, უნდა დაიხუროს სტიქიური ნაგავსაყრელები. ამ საკითხების გადაჭრის მიზნით საჭიროა ჩატარდეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები.

ნარჩენების მართვის მოწყობა

ნარჩენების მართვა უნდა იყოს მაქსიმალურად დეცენტრალიზებული და მომავალში მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე მთელი პასუხისმგებლობა შესაძლებელია მუნიციპალიტეტებმა აიღონ. მუნიციპალიტეტებმა მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყონ საკუთარი ძალებით ან კონტრაქტების საფუძველზე. უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მართვაზე მუნიციპალიტეტები გახდნენ პასუხისმგებლები.

მუნიციპალიტეტების მიერ ნარჩენების ეფექტიანი მართვისათვის საჭირო იქნება მუნიციპალიტეტთაშორისი ერთობლივი სამსახურების/გაერთიანებების ჩამოყალიბება. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უნდა შეიქმნას სამსახურის საქმიანობაზე პასუხისმგებელი საბჭო, რომელშიც შევლენ წარმომადგენლები თითოეული მუნიციპალიტეტიდან.

ასეთი სამსახურები შეიძლება პასუხისმგებელი იყვნენ ასევე ნარჩენის ხელახალ გამოყენებაზე, რეციკლირებასა და აღდგენაზე შესაძლებლობების ფარგლებში. საერთაშორისო გამოცდილებით, მსგავსი მუნიციპალიტეტთაშორისი ორგანიზაციები ხშირად ინაწილებენ პასუხისმგებლობებს ერთმანეთში. მაგალითად, ერთი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ქაღალდის ან მეტალის რეციკლირებას, მეორე ენერჯის აღდგენას და ა.შ., რათა უზრუნველყოფილი იყოს სპეციფიკური ნარჩენების ნაკადების ეფექტიანი მართვა.

სახიფათო ნარჩენების მართვა უნდა იყოს ცენტრალიზებულად კოორდინირებული სისტემა.

ნარჩენების პრევენცია

მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს ნარჩენების პრევენციას. ამა თუ იმ პროდუქციის საწარმოებლად გამოიყენება საკმაოდ ღირებული რესურსები. სამრეწველო სექტორის მიერ საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვით რესურსების ოპტიმალური გამოყენება და შესაბამისად, ნარჩენების წარმოქმნის შემცირება სამრეწველო პროცესსა თუ სხვა საოპერაციო ღონისძიებების განხორციელებისას, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ნარჩენების პრევენციის მიმართულებით.

ნარჩენების პრევენციის მისაღწევად ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება; ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

2.3. ინვესტიციების საჭიროება და საოპერაციო ხარჯები

ნარჩენების მართვის არსებული სისტემის რადიკალურად შეცვლა საკმაოდ ძვირადღირებული და ხანგრძლივი პროცესია. გარდა ამისა, ნარჩენების მართვის ახალი სისტემის შექმნა დიდ საინვესტიციო ხარჯებს მოითხოვს.

ინვესტიციების საჭიროება და დაფინანსების წყაროები

ნარჩენების მართვა საერთაშორისო დონორებისა და ბანკების ინტერესის საგანს წარმოადგენს და საქართველოშიც დაწყებულია ეს პროცესი. ინვესტიციები განსაკუთრებით საჭიროა ახალი თანამედროვე ნაგავსაყრელების მშენებლობისათვის. თუმცა ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის მისაღებად, ინვესტიციები საჭიროა სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და

ნარჩენების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობებისთვის. მათ შორის, ეს ეხება ნარჩენების ტრანსპორტირებას, რადგან თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებები და უკეთესი ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია მთლიანი სისტემის ეფექტიანობის ზრდის და გარემოს დაზიანებების შემცირების თვალსაზრისით.

ინვესტიციები იქნება საჭირო ისეთი საბაზისო ადმინისტრაციული სისტემის ჩამოყალიბებისთვისაც, როგორცაა მაგალითად, მონაცემების შეგროვება და საზოგადოების წვდომის უზრუნველყოფა ნარჩენებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე.

საოპერაციო ხარჯები

გრძელვადიან პერსპექტივაში, საოპერაციო ხარჯები მთლიანად უნდა დაიფაროს „დამზინდურებლების“ მიერ (ხარჯების სრული ამოდების სისტემა) „დამზინდურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად. თუმცა, საქართველოში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების გათვალისწინებით, ამის განხორციელება რთული იქნება მომდევნო უახლოესი წლების განმავლობაში.

ნარჩენების მართვაში ჩართული ცენტრალური სტრუქტურების შესაძლებლობების გასაძლიერებლად საჭირო იქნება დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო მუნიციპალიტეტებს დასჭირდებათ შესაბამისი სახსრების მობილიზება საკუთარი ნარჩენების მართვის მიზნით.

2.4. ტექნიკური დახმარება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროპასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში დაგროვდა ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მდიდარი გამოცდილება. შესაბამისად, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, გაიზიაროს კარგი გამოცდილება და არ გაიმეოროს ის შეცდომები, რაც განვითარებული ქვეყნების მიერ იქნა დაშვებული ამ სექტორის განვითარების ადრეულ ეტაპზე.

3. ნარჩენების მართვის ღონისძიებები

3.1. ხედვა, ამოცანები, მიზნები და ღონისძიებები

საქართველოში ნარჩენების მართვის ხედვა შემდეგნაირია:

„საქართველო ისწრაფვის გახდეს ნარჩენების პრევენციასა და რეციკლირებაზე ორიენტირებული ქვეყანა“, რაც მიიღწევა:

- ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის ღონისძიებების გატარებით
- მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების უზრუნველყოფით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე
- ნარჩენების წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების დანერგვით
- ხარჯების სრული ამოდების დანერგვით
- მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვით
- ინიციატივების განხორციელებით სპეციფიკური ნარჩენების ნაკადებზე
- საჯარო-კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბებით
- სტრატეგიის მიზნების მისაღწევად საჭირო წამახალისებელი მექანიზმების დანერგვით .

ქვემოთ მოყვანილი მიზნები, შესაბამისი ამოცანები და ღონისძიებები გაწერილია იმავე თანმიმდევრობით, როგორც სტრატეგიაში:

კანონმდებლობა

მიზანი 1. ევროკავშირის მოთხოვნებისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისი ნარჩენების მართვის კანონმდებლობის შემუშავება, განხორციელება და აღსრულება

ამოცანა 1.1. ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი სამართლებრივი აქტების მიღება და განხორციელება 2020 წლისთვის

ამოცანა 1.2. საერთაშორისო კონვენციების ვალდებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში სრული ასახვა და განხორციელება 2020 წლისთვის

ამოცანა 1.3. ნარჩენების მართვის კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება 2025 წლისთვის.

ნარჩენების მართვის დაგეგმვა

მიზანი 2. ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე

ამოცანა 2.1. ყველა მუნიციპალიტეტისთვის ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმების შემუშავება და დამტკიცება 2017 წლისთვის

ამოცანა 2.2. კომპანიების ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება 2016 წლისთვის.

ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება

მიზანი 3. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა

ამოცანა 3.1. კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის ფორმების განსაზღვრა ნარჩენების მართვის სექტორში 2020 წლისთვის

ამოცანა 3.2. ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ოპერატორების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება 2020 წლისთვის

ამოცანა 3.3. ნარჩენების შეგროვების მინიმალური ეროვნული მაჩვენებლების მიღწევა:

	2020 წლისთვის	2025 წლისთვის	2030 წლისთვის
მუნიციპალური ნარჩენები	90%	100%	100%
სახიფათო ნარჩენები	50%	75%	100%

ამოცანა 3.4. სახიფათო ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება 2025 წლისთვის .

ამოცანა 3.5. ეროვნული ინიციატივების განხორციელება სპეციფიკური ნარჩენების ნაკადების მართვისთვის 2025 წლისთვის

ნაგავსაყრელები

მიზანი 4. ნარჩენების ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსების უზრუნველყოფა

ამოცანა 4.1. ახალი თანამედროვე რეგიონული ნაგავსაყრელების და ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად 2025 წლისთვის; არსებული ნაგავსაყრელების გაუმჯობესება/ოპერირება გარდამავალ პერიოდში ზოგიერთი კატეგორიის ნარჩენებისათვის (აზბესტის ნარჩენები, არასახიფათო ცხოველური ნარჩენები და სხვა), საჭიროების შემთხვევაში, ცალკე უჯრედების მოწყობის გათვალისწინებით.

ამოცანა 4.2. არსებული ოფიციალური, მაგრამ უნებართვო ნაგავსაყრელების დახურვა 2023 წლისთვის

ამოცანა 4.3. სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია 2020 წლისთვის

ამოცანა 4.4. ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ბიოდეგრადირებადი ნარჩენების განთავსების შემცირება 2025 წლისთვის

პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენა

მიზანი 5. ნარჩენების პრევენცია, ხელახალი გამოყენება, რეციკლირება ან/და აღდგენა

ამოცანა 5.1. ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის წარმოქმნის წყაროსთან სეპარირების სისტემის ჩამოყალიბება 2025 წლისთვის.

ამოცანა 5.2. ქაღალდის, მინის, მეტალისა და პლასტიკის რეციკლირების შემდეგი მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:

	2020 წლისთვის	2025 წლისთვის	2030 წლისთვის
ქაღალდი	30%	50 %	80%
მინა	20%	50%	80%
მეტალი	70%	80%	90%
პლასტიკი	30%	50%	80%

ამოცანა 5.3. კომპანიების მიერ ნარჩენების პრევენციის ხელშეწყობა და კომპანიების მიერ პრევენციის ღონისძიებების განხორციელება 2020 წლისთვის .

ამოცანა 5.4. ენერჯის აღდგენა 2025 წლისთვის იმ ნარჩენებიდან, რომელთა ხელახალი გამოყენებაც ან რეციკლირება არ მომხდარა.

ამოცანა 5.5. ნარჩენების რეციკლირებისა და ენერჯის აღდგენის ობიექტების მოწყობა 2025 წლისთვის.

ხარჯების ამოღება

მიზანი 6. ნარჩენების მართვის ხარჯების სრული ამოღება „დამზინძურებელი იხდის“ პრინციპის შესაბამისად

ამოცანა 6.1. მუნიციპალიტეტებში მოსახლეობიდან ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის და ეტაპობრივი განხორციელება 2030 წლისთვის.

ამოცანა 6.2. კერძო სექტორიდან ხარჯების სრულად ამოღების სისტემის შემუშავება 2020 წლისთვის და განხორციელება 2025 წლისთვის.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება

მიზანი 7. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ხელშეწყობა და დანერგვა

ამოცანა 7.1. ვალდებულებების განსაზღვრა მწარმოებლებისთვის 2019 წლისთვის .

ამოცანა 7.2. მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა სხვადასხვა სახის ნარჩენების მართვისათვის:

	2020 წლისთვის	2025 წლისთვის	2030 წლისთვის
ბატარეები	20%	50%	80%
ზეთები	50%	75%	90%
შესაფუთი მასალები	40%	75%	90%
ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობა	20%	50%	80%
საბურავები	50%	70%	90%
აკუმულატორები	60%	80%	90%
ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებები	20%	50%	80%

ამოცანა 7.3. მგვ წამახალისებელი მექანიზმების დანერგვა 2020 წლისთვის.

მონაცემები ნარჩენების შესახებ

მიზანი 8. ნარჩენების შესახებ მონაცემებისა და ინფორმაციის მართვის სისტემის ჩამოყალიბება და დანერგვა

ამოცანა 8.1. ნარჩენების შესახებ მონაცემთა მართვის სისტემის (მონაცემების შეგროვება, ანგარიშგება და მონაცემთა ბაზა) შემუშავება და დანერგვა 2016 წლისათვის .

ამოცანა 8.2. ნარჩენების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო სისტემის შემუშავება და დანერგვა 2020 წლისთვის

მართვის შესაძლებლობები

მიზანი 9. საჯარო სექტორის შესაძლებლობათა გაძლიერება ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე; ასევე, კერძო კომპანიების შესაძლებლობათა გაძლიერების ხელშეწყობა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

